

ახალი თაობა

akhalitaoba.ge



უფლებამოსილი მამუკა ტუსკაძე „ქართულ ოცნებას“ საკუთარი უფლებების დასაცემად სთხოვს ვინ უთვალთვალეს ტურისტებს ვიდეოკამერებით სასტუმროში

10 ივლისიდან
მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ქართული დეტექტივი ტომი 8
ფასი გაზრდილი პირად 5 ლარი

შაბათი – კვირა, 28 – 29 ივლისი, 2018

№177 (7722)

ფასი: 60 თეთრი

მიხეილ კალანდია, შესაძლოა, დააკავონ – დაკანონო შიშო მენაბდის შვილმა მიხეილ კალანდია დავით სარალიძის შვილის შვილებს მიყენებულ დაადანაშაულა?



დავით სარალიძის მკვლელობის ან დანაშაულში მონაწილეობის ბრალდებით, შესაძლოა, უახლოეს დღეებში მიხეილ კალანდია დააკავონ. არასრულწლოვნის მკვლელობიდან თითქმის 8 თვის შემდეგ მირზა სუბელიანის ახლო ნათესავის წინააღმდეგ მტკიცებულებები დროებითმა საგამომძიებო კომისიამ მოიპოვა. „კურიერის“ ინფორმაციით, დანაშაულში კალანდიას მონაწილეობაზე ახსნა-განმარტებები კომისიის წევრებს სისხლიანი დაპირისპირების უშუალო მონაწილეებმა მისცეს, მათ შორის არის დეკანოზ შიშო მენაბდის შვილი. მოზარდი კიდეც ოთხ არასრულწლოვანთან ერთად ხორავას ქუჩაზე კალანდიას თხოვნით მისი დეიდაშვილის მჩაგვრელებთან დასალაპარაკებლად მივიდა. არასრულწლოვანი ინიციალით გ.მ. კომისიის წევრებმა ორი დღის წინ გამოჰკითხეს. დეტექტივები მიღებული ინფორმაციის შინაარსზე საჯაროდ არ საუბრობენ, თუმცა „კურიერისთვის“ ცნობილია, რომ სასულიერო პირის შვილმა მიხეილ კალანდია დავით სარალიძის შვილის შვილებს მიყენებულ დაადანაშაულა. მან კომისიას ასევე უთხრა, რომ მიხეილ კალანდია დავით სარალიძის ე.წ. შტირს ურტყამდა. მონაწილეს მიღებული ინფორმაციის შესახებ საგამომძიებო კომისიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე აცნობა და ახლა რეაგირებას მათგან ელოდება. მოზარდების მკვლელობის საქმეში დეკანოზ შიშო მენაბდის შვილის არაერთი ჩვენება არსებობს, თუმცა არც ერთ მათგანში ის არ უთითებდა, რომ დაპირისპირების დროს კალანდიას ხელში რამე სახის ცივი იარაღი ეჭირა. საპარლამენტო საგამომძიებო კომისია ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით მოწმეების გამოკითხვას აგრძელებს. უკვე ცნობილია, რომ მომდევნო პარასკევს კომისიის წევრების შეკითხვებს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია და ყოფილი მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე უპასუხებენ.

ნიმო ბურჯანაძე: „ივანიშვილის სააკაშვილის გზას გაუდგება“



„დასავლეთს კვირიკაშვილის მიმართ სიმპათია გაუჩნდა, რაც ივანიშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა“

ვახტანგ ძაბირაძე: „ქართულ ოცნებას“ გამოეყოფა ჯგუფი, რომელიც ივანიშვილს დაუპირისპირდება“



სვანოს სოლიდარობა თბილისში გამოუხატეს
სუბარმა ხაიშელებთან საერთო ენა ვერ გამოიხატა



აკოროშია
მთავრობამ მომავალ საფრთხის შემთხვევაში 50 ინდუსტრიის რეკონსტრუქციის დაგეგმვა

თბილისში ყაზის ქარხანა მოქმედებას დაიწყო

6 თვეში გერმანიაში, შვედეთში, ბელგიაში და ნიდერლანდებში თავშესაფარი სპარტეპელონ 3.527-მა მოქალაქემ მოითხოვა



6 ავღანეთის პარტიკული ბაღი გახდა

3 „ვაშაქის სარიოზული რეიტინგის აკრედიტაცია“

6 კომპანია „არგოს“ არაეთიკური სარეკლამო კამპანია სთამაშო ბიზნესის სტიმულირებას ახდენს

5 ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობას ნათქვამი აუნიცხებენ

ვაჟა აზარაშვილი საქართველოს ქალაქებში კონსერტებს გამართავს



კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი 82 წლის ასაკშიც საქართველოს ქალაქებში მოგზაურობს და მონატრებული მსმენელისთვის კონცერტებს მართავს.

ვაჟა აზარაშვილმა კვარტეტი შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც კომპოზიტორთან ერთად გაერთიანებული არიან მომღერალი ზურა კობეშვიძე, კომპოზიტორის მეუღლე, პოეტი მანანა დანგაძე და იუმორისტი ლადო ხელაშვილი.

მათ კონცერტები უკვე ჩატარებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. 31 ივლისს კი, სალამოს, თბილისში, კომპოზიტორთა კავშირში გამართავენ.

პირველი აგვისტოდან კვარტეტი კვლავ საქართველოს რეგიონებს ესტუმრება. 1, 2, 3 და 4 აგვისტოს მათი სალამოები დაგეგმილია ონში, ამბროლაურში, ლენტეხსა და ცაგერში. სექტემბრიდან კი ხელოვნები მთიან აჭარას, ბათუმსა და სამეგრელოს ეწვევიან.

კვარტეტის შექმნის იდეა ვაჟა აზარაშვილს ეკუთვნის, რომელიც აცხადებს, რომ, წლების მატების მიუხედავად, შემოქმედებითადაც აქტიურია და არც ჯანმრთელობას უჩივის.

82 წლის კომპოზიტორის ნაწარმოებები აქტიურად სრულდება საქართველოშიც და უცხოეთშიც, მისი ნაწარმოებები კი გამოიცემა როგორც ვეროპაში, ასევე აზიაში.

ნიაზ დიასამიძე ფანდურზე დამკვრელებს ნელა დაკვრას ურჩევს

ჯგუფ „33ა“-ს მომღერალი ნიაზ დიასამიძე ფანდურზე დამკვრელებს ურჩევს, მუსიკალურ ინსტრუმენტზე ნელა დაუკრან, რადგან სწრაფი დაკვრისას ფანდური ბალალაიკას ემსგავსება:




— ფანდური! ამ ბოლო დროს ფანდურზე დამკვრელი ვირტუოზები ნამდვილად მომრავლდნენ და ეს კარგია!

მაგრამ ამ მიმართულებას აქვს ერთი დიდი მინუსი... ფანდური კარგავს თავისი ფანდურის უნიკალურობას და ასეთი ვირტუოზული „სწრაფი“ დაკვრისას ნამეტანი ემსგავსება ბალალაიკის ფანდურადობას...

ცოტა შეანელო... ბალალაიკა ოკუპანტია! ქრომატიულ ფანდურზე ხელის ადებს არ ვფიქრობ ნაღდად. ეს არ არის ხასიათისა და ბგერის საწინააღმდეგო. პირიქით, გადაარჩინა ფანდური და აქტუალური გახადა, მაგრამ აწი ხალხურმაც უნდა თქვას იმავე ხელით თავისი სათქმელი!

პ.ს. ჩონგური! ჭუნირ ჭიანური... ჩანგი! ჭიბონი და გუდასტვირი... სასწრაფოდ უნდა ვიმოქმედოთ, რათა ეს გენიოსი ინსტრუმენტები პოპულარული გახდეს კვლავ...

სამგლოვიარო განსხვავებები



გარდაიცვალა 60-70-იან წლებში სპორტის მინისტრის მოადგილე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მსოფლიოსა და ოლიმპიური მრავალი ჩემპიონის აღმზრდელი და სწორ ცხოვრებისეულ გზაზე დამყენებელი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული და ქვეყნის მომავლის გულშემატკივარი, პროფესორად წოდებული

ვახტანგ ბალაკავა

და სამძიმარს ვუცხადებთ მის დიდ ოჯახს — შვილებსა და შვილიშვილებს.

ვეტერან მოჭიდავეთა სახელით, თამაზ მაჭავარიანი


სამგლოვიარო განსხვავებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გიომ ხუციშვილის მეუღლე მომღერლის სიმღერების უკითხავად გამოყენების წინააღმდეგია

მომღერალ გიომ ხუციშვილის მეუღლე მაია ჯორჯაძე მეუღლესთან ერთად დაწყებული პროექტის გაგრძელებას აპირებს, ამიტომ გიომს სიმღერების უკითხავად გამოყენების წინააღმდეგია.

მაია ჯორჯაძემ განცხადება სოციალურ ქსელში გაავრცელა:

— ძალიან მიმიძის ამ თემაზე საუბარი, მაგრამ, მინდა გთხოვოთ, ჩემთვის დღეს ყველაზე ძვირფასია გიომის სიმღერები, რომლებიც მე და გიომ ერთად შევქმენით. მე პროექტის გაგრძელებას ვაპირებ ზუკასთან ერთად. ჩვენ ძალიან დიდი გეგმები გვქონდა. დიდი ბოდიშის მოხდით, მინდა გთხოვოთ, ამ სიმღერებს ნულარ გამოიყენებთ უკითხავად. იმედია, გაითვალისწინებთ! წინასწარ გიხდით მადლობას!



რამაზ იოსელიანი ბათუმში მოლას ხმამაღლა აპროტესტებს

მსახიობი რამაზ იოსელიანი ბათუმში მოლას ხმამაღლა სიმღერას აპროტესტებს:

— მე რომ ბათუმში იმ ადგილას ვცხოვრობდე, სადაც მოლა ხმამაღლა მღერის და ლოცულობს, ასიანს „მამაო ჩვენო“ და საგალობლებს ჩავურთავდი გამაძლიერებელი ხმით.

პ.ს. მანდ არავინ ხართ ისეთი, რომ სამშობლო გიყვარდეთ?

თამაზადა ეკა ირემაშვილი

ლომმა გიენისებრი ძაღლები გაიტყუა და ბოკვერი გადაარჩინა

მორემის ეროვნულ ნაკრძალში მოგზაურობის დროს ტურისტმა შეილინ ფერნანდომ ვიდეოზე გადაიღო გიენისებრი ძაღლების ხროვის მდებარე ლომზე თავდასხმის მომენტი. ვიდეოგოლი იუთუბში ნაკრძალის გვერდზე გამოქვეყნდა.

— სიტყვებით ვერ გამოვხატავ, ისე ველევადი ლომისა და მისი ბოკვერის გამო, — ისხენებს ფერნანდო, — გიდემა გვითხრა, რომ მას სხვა ყველა ბოკვერი დაეღუპა. ძაღლები დიდხანს ცდილობდნენ მასზე თავდასხმას, მაგრამ შემდეგ თავი დაანებეს და გაეცალნენ, ხოლო ლომი თავის ბოკვერთან ერთად უსაფრთხოდ აღმოჩნდა. მეორე დღეს ისევ შევნიშნეთ გიენისებრი ძაღლები. ერთ-ერთი მათგანი ძალიან იყო დაკბენილი.

გიენისებრი ძაღლები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ნამიბიის, ტანზანიის, მოზამბიკის, ზიმბაბვესა და სვაზილენდის ეროვნულ პარკებსა და ადამიანის მიერ აუთვისებელ ადგილებში არიან გავრცელებული. მათ ერთ ჯგუფზე ცხრა კილოგრამამდე ხორცის შეჭმა შეუძლიათ და ისევე, როგორ გიენებს, ლომების არ ეშინიათ და მათთვის სახიფათონიც კი არიან.



უზარმაზარმა თევზმა მეთევზის მიერ დაჭერილი ზვიგენი გადაყლაპა



უზარმაზარმა თევზმა, რომელიც 222 კილოგრამს იწონიდა, მეთევზეები გაცივებული დატოვა, როდესაც მათ მიერ დაჭერილი ზვიგენი გადაყლაპა.

ვიდეოზე, რომელიც ერთ-ერთმა მონაწილემ გადაიღო, ჩანს, რომ მეთევზეთა გუნდი დაჭერილი ერთი მეტრი სიგრძის ზვიგენის წყლიდან ამოყვანას ცდილობს. ეს ყოველივე ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ვერაგლედის-სიტიდან 20 მილში მოხდა. რამდენიმე წამის შემდეგ მათთან ატლანტიკური უზარმაზარი გრუპერი მიცურდა და მეთევზეთა ნანადირევი მთლიანად გადაყლაპა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი მეთევზის ანკესი ამ ორთაბრძოლის დროს, პრაქტიკულად, ორად მოიკეცა, მაგრამ 10 წუთის ბრძოლის შემდეგ მეთევზეებმა მაინც მოახერხეს და თევზი აიძულეს, ზვიგენი უკანვე ამოენთხია.

შუა ქორწილში ექვსი ჩინელი მინაში ჩავარდა

ჩინეთში ქორწილის სტუმრები მოულოდნელად მინისქვეშ აღმოჩნდნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინციდენტი ხუბეის პროვინციის ქალაქ შიციზი-აჩუას ფესენებელურ სასტუმროში მოხდა. საზვიმო ლონისძიების დროს ერთ-ერთი მაგიდის ქვეშ იატაკი ჩაინგრა და ექვსი ადამიანი მინის ქვეშ აღმოჩნდა. მათ ზვიგენი ამოსვლაში ახლად-შეუღლებულთა მომხდარით გაოგნებული ნათესავები და მეგობრები დაეხმარნენ. მინისქვეშ ჩავარდნილთაგან სამს სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

საზედამხედველო ორგანოების წინასწარმა გამოძიებამ აჩვენა, რომ ინციდენტი წყლის მიღების დაზიანებამ გამოიწვია. იმ ადგილზე მინა დარბილდა, დაჯდა და გამოირეცხა, ხოლო თხელმა იატაკმა მაგიდისა და სტუმრების წინას ვერ გაუძლო.



თამაზადა კანა ნატიაშვილი

